საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება

## ივნისი 2023 წელი







31.07.2023 | www.geostat.ge

31.07.2023

## ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება,
ივნისი 2023

წინასწარი შეფასებით, 2023 წლის ივნისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 7.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2023 წლის პირველი ექვსი თვის საშუალო მაჩვენებელი 7.6 პროცენტით განისაზღვრა.

**ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, 2023 წელი**
**წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით** (%)




2023 წლის ივნისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: მშენებლობა, ვაჭრობა, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები.

კლების ტენდენცია დაფიქსირდა ტრანსპორტისა და დასაწყობების, ასევე ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდების სექტორებში.

31.07.2023

## ყოველთვიური ეკონომიკური სტატისტიკა

ივნისი 2023

### ფასების სტატისტიკის მაჩვენებლები

| მაჩვენებელი | წინა წლის შესაბამის თვესთან | წინა თვესთან |
|---|---|---|
| სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) | 100.6 | 99.3 |
| სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (PPI) | 94.0 | 99.7 |

### საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებლები
### იანვარი-ივნისი 2023

| მაჩვენებელი | მლნ. აშშ დოლარი | ცვლილება % (წინა წლის შესაბამის პერიოდთან) |
|---|---|---|
| საქონლის ექსპორტი (FOB) | 3 052.8 | 19.3 |
| საქონლის იმპორტი (CIF) | 7 215.8 | 20.4 |
| საგარეო სავაჭრო ბრუნვა | 10 268.6 | 20.1 |

**საქონლით საგარეო ვაჭრობა, 2023**

(მლნ. აშშ დოლარი)



31.07.2023

## სამეწარმეო სფეროს სტატისტიკის მაჩვენებლები

| მაჩვენებელი | ივნისი |
|---|---|
| ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა (ერთეული) | 6 702 |
| ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%) | 0.9 |
| ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა (მლნ. ლარი) | 11 991.5 |
| ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%) | 6.1 |

## დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, 2023 (%)




**წყარო:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

31.07.2023

## სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები, 2023
(მლნ. ლარი)




**წყარო:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ხარჯები   შემოსავლები

## საბანკო სფეროს მთლიანი გამოშვება, 2023
(მლნ. ლარი)




**წყარო:** საქართველოს ეროვნული ბანკი.

კომერციული ბანკები   ეროვნული ბანკი

31.07.2023

## საინფორმაციო ფურცელი

საქსტატი ყოველთვიურად აწარმოებს ეკონომიკის ზრდის წინასწარ შეფასებებს, რომელიც იანგარიშება უწყებრივი სტატისტიკის (დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების) საფუძველზე. აღნიშნული შეფასებები წარმოადგენს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელსაც იყენებენ მოკლევადიანი წინასწარი ოპერატიული მონაცემების მისაღებად. იმ სფეროებში, სადაც ყოველთვიური მონაცემები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა) არ მოიპოვება, შეფასება გაკეთებულია წინა პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით.

გარდა ამისა, ყოველთვიურად შესაძლებელია მოხდეს წინა თვეების დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების კორექტირება, რაც, შესაბამისად, რეალური ზრდის ყოველთვიური წინასწარი შეფასების მონაცემის კორექტირებასაც იწვევს.

**საკონტაქტო პირები:**

მაკა კალანდარიშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)
E-mail: mkalandarishvili@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020).
E-mail: mkavelashvili@geostat.ge